დანართი №2

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის მიერ
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა" დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ვერიკო ჭიღლაძე
წევრები:
თაბუკა ციმინტია
ზაზა პაპიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: 402019917

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 18 მარტის MES 9 26 0000330901 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ვიზიტის განხორციელება ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის „რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების" 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების მიზნით. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილი იქნა გამოგზავნილი განაცხადი, თანდართული დოკუმენტაციით. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შედგენილი იქნა ვიზიტის დღის წესრიგი და ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის მეშვეობით გადაეგზავნა დაწესებულებას.

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში ვიზიტი განხორციელდა ბრძანების შესაბამისად 2026 წლის 1 აპრილს (ქ. თბილისი, თემქის მე-11 მ/რ, მე-3 კვ. ნაკვეთი 01/10). ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა და გაესაუბრა დაწესებულების ხელმძღვანელებს, ადმინისტრაციას, პროგრამის ხელმძღვანელს, პროგრამის განმახორციელებელ პროფესიულ მასწავლებლებს და შესამოწმებელ საკითხებზე პასუხისმგებელ პირებს. ვიზიტის დროს დათვალიერებული იქნა სასწავლო გარემოები, ბიბლიოთეკა და მატერიალური რესურსები. შესაბამისი ინფორმაცია დეტალურად არის წარმოდგენილი დასკვნაში.

III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, მოიყვანოთ საუკეთესო გამოცდილების მაგალითი(ებ)ი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ნაწილი II. სტანდარტთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

II. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი არ გამოვლენილა.

III. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

შესაბამისობის რეკომენდაცია არ გაცემულა.

IV. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

განმავითარებელი რეკომენდაცია არ გაცემულა.

V. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

დაწესებულება წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესაბამისად სრულად ეთანხმება დასკვნაში წარმოდგენილ გარემოებებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ნაწილი III. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობაში.
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0713
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის დირექტორის ბრძანება N. 235. 19.11.2025
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი- ქ. თბილისი. თემქის მე 11 მ/რ მე-3 კვ. ნაკვეთი 01/10. სს საქართველოს რკინიგზა- თბილისი. თამარ მეფის გამზ. 15
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	75
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	30
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	116

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	146
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

დასაბუთება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ნაწილი IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში შემუშავებულია „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანის, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების წესი“ (დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 25 მაისის №43 ბრძანებით, ცვლილება კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 1 ოქტომბრის №168 ბრძანებით), რომელზე დაყრდნობით ხორციელდება პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება. ამავე დროს, კოლეჯის მიერ განსახორციელებელი პროგრამები, მათ შორის პროგრამა „რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა“ შესაბამისობაშია კოლეჯის მისიასთან, ასახულია სტრატეგიული განვითარებისა და მისგან გამომდინარე სამოქმედო გეგმებში, ვინაიდან, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით კოლეჯის ადმინისტრაცია მჭიდრო კომუნიკაციაშია სს საქართველოს რკინიგზასთან მათი საჭიროებების მიმართულებებისა და მოცულობების განსაზღვრის მიზნით, ახდენს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

შრომის ბაზრის მოთხოვნების ანალიზს განსახორციელებელ პროგრამებთან მიმართებაში, აფასებს საკუთარ შესაძლებლობებსა და სამუშაო პროფილის მიხედვით შეირჩევს და იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაზე. პროგრამის შემუშავებას წინ უძღვის დაგეგმვის ეტაპი, რომელიც მოიცავს ბაზრის კვლევას, შეხვედრებს პროგრამის განმახორციელებელ პერსონალსა და პოტენციურ დამსაქმელებთან, რესურსების ანალიზს, რის საფუძველზეც დგება მიზანშეწონილობის დოკუმენტი. დოკუმენტში კარგად იკვეთება პროგრამის საჭიროება. მიზანშეწონილობა დასაბუთებულია მყარი არგუმენტებით და შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით. გამომდინარე იქიდან, რომ ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი ერთადერთი პროფესიული დაწესებულებაა, რომელიც ემსახურება საქართველოს რკინიგზის კადრებით მომარაგებას, მის სამოქმედო არეალად მიღებულია მთელი ქვეყნის ის ტერიტორია, სადაც გადის სარკინიგზო მაგისტრალები და პროგნოზირებულია მოთხოვნა საავტორიზაციოდ წარმოდგენილი პროგრამის ფარგლებში შესაძენ ცოდნაზე, გამოსამუშავებელ უნარებსა და არსებულ სამუშაო პოზიციებზე.

შესაბამისად ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 2.1.1.1 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, **პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.**

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის „რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა“ (სწავლის დეტალური სფეროს კოდი 0713) საფუძველზე და შესაბამისად, დაშვების წინაპირობა საშუალო პროფესიული კვალიფიკაციისათვის არის სრული ზოგადი განათლება, ხოლო იმ შემთხვევაში თუ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები - საბაზო განათლება. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები გაწერილია კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში და იგი ეყრდნობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესსა და პირობებს“. კოოპერაციული პროგრამების შემთხვევაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა შერჩევის პროცესში ჩართულნი არიან წარმოების წარმომადგენლები. კოლეჯის მიერ აპლიკანტთა შერჩევა საავტორიზაციო პროგრამაზე ხორციელდება მოტივაციური გასაუბრებით.

სასწავლო პროცესის ორგანიზება და სტუდენტის ყოველდღიური სასწავლო საქმიანობა სრულად ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა“, რაც უზრუნველყოფს წინარე ცოდნისა და უნარების თანმიმდევრულ განვითარებას და სწავლის შედეგების ეტაპობრივ მიღწევას. საჭიროების შემთხვევაში, კოლეჯი იყენებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მექანიზმს, რაც დამატებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

უზრუნველყოფს სხვადასხვა საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების სწავლის პროცესში ჩართულობას და შედეგების მიღწევას პროგრამის განხორციელების ვადაში.

აღნიშნული მიდგომა ადასტურებს, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები არა მხოლოდ ფორმალურად არის დადგენილი, არამედ პრაქტიკაში რეალურად გამოიყენება იმგვარად, რომ პროგრამაზე დაშვებული პირები ფლობენ იმ აუცილებელ საფუძვლებს, რომლებიც მათ საშუალებას აძლევს წარმატებით დაეუფლონ „რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა“ პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს.

ექსპერტთა შეფასებით 2.1.1.2 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, **საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.**

3. კოლეჯი პროფესიული სტუდენტების ზღვრულ რაოდენობას განსაზღვრავს კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 7 ნოემბრის №89 ბრძანებით დამტკიცებული (ცვლილება განხორციელდა ბრძანებით №49 26.04.2024) „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიით“, რომლის მიხედვითაც პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებულ უნდა იქნას კონკრეტული პროგრამის განხორციელების ადგილი და ფორმა, საჭირო ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსები, სააუდიტორიო ფართის გამტარუნარიანობა, ცვლებში და შეჭრილი ცხრილებით საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის შესაძლებლობები, პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების ობიექტის შესაძლებლობები და სხვ.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა“ მისაღებ სტუდენტთა კონტიგენტი განისაზღვრა შემდეგი კრიტერიუმებით: ადამიანური რესურსი, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, პრაქტიკის უზრუნველყოფის რესურსი, სასწავლო გარემოს (A, B, C) გამტარუნარიანობა. პროგრამის ხანგრძლივობა, სასწავლო გეგმის სპეციფიკა, პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა.

პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის დროს გათვალისწინებულია პარტნიორი კომპანიის შესაძლებლობები, პროგრამისათვის გამოყოფილი სასწავლო გარემოს ფართი, პროგრამის განხორცილების სპეციფიკა და მოთხოვნადობა.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა თითოეულ მიღებაზე მტკიცდება კოლეჯის დირექტორის მიერ ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტით. ეს პრაქტიკა იძლევა სტუდენტთა რაოდენობის რეალისტური დაგეგმვის შესაძლებლობას და უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების პროცესის ორგანიზებულობასა და სტაბილურობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კოლეჯის მიერ წარმოდგენილია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა“ მოთხოვნილი პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობისა და განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობასთან დაკავშირებით დოკუმენტში აღნიშნულია, რომ არსებული კვოტისათვის კოლეჯს ყავს სათანადო კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე პროფესიული განათლების მასწავლებლები, გააჩნია ყველა საჭირო რესურსი და უზრუნველყოფს პრაქტიკის სრულყოფილ გატარებას სს საქართველოს რკინიგზაში.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით 2.1.1.3 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, **პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.**

4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის განკუთვნილი აღჭურვილობა/მატერიალური რესურსები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით განსაზღვრულ მინიმალური მატერიალური რესურსების დანართის სარეკომენდაციო მოთხოვნებს, კოლეჯში პროგრამის განხორციელებისთვის არსებობს სათანადო ინვენტარითა და აღჭურვილობით მოწყობილი სახელოსნო. ამასთან, სწავლის შედეგების მიღწევისთვის საჭირო მატერიალური რესურსები კოოპერაციული სწავლების ფორმატიდან გამომდინარე, პროფესიული სტუდენტებისთვის სრულადაა ხელმისაწვდომი სს საქართველოს რკინიგზის ბაზაზე. თითოეული მოდულით განსაზღვრულია სასწავლო ლიტერატურის ჩამონათვალი, რომელიც შეესაბამება მოდულის ფარგლებში შესასწავლ მასალას და დარგის სპეციფიკასა და მოთხოვნებს. საგანმანათლებლო რესურსებად გამოიყენება სახელმძღვანელოების ელექტრონული ვერსიები და სპეციალური სარკინიგზო ინდუსტრიის ლიტერატურა, რომელიც ჩატვირთულია კოლეჯის ბიბლიოთეკაში და ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისათვის შეუფერხებლად.

ექსპერტთა შეფასებით 2.1.1.4 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, **საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.**

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა“ არჩევით მოდულებს არ ითვალისწინებს.

2.1.1.5 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

6.კოლეჯის წესდების მე-5 მუხლის 5.1.2. პუნქტის, ასევე „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების წესის“ მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, დირექტორი ბრძანებით ამტკიცებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა “რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა“ დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 19 ნოემბრის №235 ბრძანებით, ცვლილება - 20.03.2026, ბრძანება N81-ით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ექსპერტთა შეფასებით 2.1.1.6 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, **საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.**

7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასახელებაა „რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა", რომლის სწავლის შედეგებია:

1. უზრუნველყოს სარკინიგზო ტრანსპორტზე უსაფრთხო სამუშაო გარემო

2. ჩაატაროს რკინიგზისელექტრომომარაგების მეურნეობისსამუშაო გარემოს ორგანიზაციული დატექნიკური ღონისძიებები

3. გაზომოს ელექტრომომარაგების მოწყობილობა - დანადგარების და დამცავისაშუალებების ელექტრული, მექანიკურიდა გეომეტრიული პარამეტრები

4. გაუწიოს რკინიგზის ელექტრომომარაგების მოწყობილობა - დანადგარებს ტექნიკური მომსახურება

5. ჩაატაროს რკინიგზისელექტრომომარაგების მოწყობილობა - დანადგარების მიმდინარე რემონტი

6. ჩაატაროს რკინიგზისელექტრომომარაგების მოწყობილობა - დანადგარების კაპიტალური რემონტი.

თითოეული ზემოთაღწერილი სწავლის შედეგი უშუალოდ არის დაკავშირებული რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა ში მომუშავე პირის კომპეტენციებთან, ამასთან, პროგრამის დასახელება და სწავლის შედეგები შესაბამისობაშია და არ არის შეცდომაში შემყვანი.

შესაბამისად 2.1.1.7 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, **პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.**

8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა" შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის „რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა" (სწავლის დეტალური სფეროს კოდი 0713) საფუძველზე და ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში მოქმედი "პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანის, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების წესი", საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს მის შესაბამისობას დადგენილ მოთხოვნებთან. პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია, პრაქტიკულის კომპონენტის განხორციელების მიდგომები. საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი შედგება პროგრამის ძირითადი დოკუმენტის, მოდულებისა და სასწავლო გეგმისგან (მათ შორის ქართული ენის A2 და B1 გათვალისწინებით და მის გარეშეც).

ვინაიდან პროგრამა კოოპერაციულად ხორციელდება, სასწავლო გეგმაში და მოდულებში მითითებულია სწავლის შედეგების განაწილება და ხელშეკრულებები პარტნიორ კომპანიასთან. ასევე, კოოპერაციული მიდგომით პროგრამის განხორციელების სპეციფიკის ამსახველი სასწავლო გეგმა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

პროგრამა აკმაყოფილებს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ კანონმდებლობით დადგენილ ყველა მოთხოვნას. პროგრამა დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის მიერ.

2.1.1.8. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, **პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა“ პაკეტი (დამტკიცებულია დირექტორის დირექტორის 2025 წლის 19 ნოემბრის №235 ბრძანებით, მოდიფიცირებულია: დირექტორის 2026 წლის 20 მარტის № 81 ბრძანებით);
2. კოლეჯის მისია, ხედვა, ღირებულებები;
3. ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის განვითარების სტრატეგიული გეგმა 2023-2030 წლებისთვის (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2023 წლის 28 თებერვლის №24 ბრძანებით)
4. დანართი 4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთების არგუმენტირების ცხრილი;
5. ა(ა)იპ - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 16 სექტემბრის №5 ბრძანებით ცვლილება კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 22 სექტემბრის №157 ბრძანებით);
6. ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 07 ნოემბრის №89 ბრძანებით, ცვლილება დირექტორის 2024 წლის 26 აპრილის №49 ბრძანებით);
7. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის და ბლოკირების ელექტრომექანიკა“ მოთხოვნილი პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობისა და განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
8. დანართი 2. ფორმა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ;
9. კოლეჯის წესდება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

10. ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების წესი" (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 25 მაისის №43 ბრძანებით, ცვლილება კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 1 ოქტომბრის № 168 ბრძანებით).

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, კოლეჯს ჰყავს პარტნიორი კომპანია სს „საქართველოს რკინიგზის" სახით. (მის. თბილისი, თამარ მეფის 15). პროგრამა ხორციელდება კოოპერაციული მიდგომით და სასწავლო გეგმით იდენტიფიცირებულია სწავლის შედეგები, თუ რომელი მიიღწევა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კოლეჯის და რომელი პარტნიორი კომპანიის მფლობელობაში არსებული მატერიალური ტექნიკური აღჭურვილობით, რომლისთვისაც გაფორმებულია პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის შესაბამისი ხელშეკრულება. პარტნიორ საწარმოსთან - სს საქართველოს რკინიგზასთან. ხელშეკრულებით არის განსაზღვრული, რომ პროგრამის მიზნებისათვის გამოყენებული იქნება კომპანიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. გარდა ამისა, კოლეჯში მისაღწევი სწავლის შედეგების ასათვისებლად მოწყობილი აქვს ღია და დახურული ტიპის სასწავლო სივრცეები - სახელოსნო და პოლიგონი. პროგრამაში, ზოგადი მოდულებისა და ასევე თეორიული სწავლის შედეგების მიღწევისათვის, გამოიყენება კომპიუტერული კლასი, რომელიც აღჭურვილია საჭირო რაოდენობის კომპიუტერებით, მაგიდებით, სკამებით, დაფით, ჯგუფში სტუდენტების რაოდენობის შესაბამისად და საგნობრივი აუდიტორიები. თეორიული სწავლების აუდიტორიები აღჭურვილია პროექტორებითა და ეკრანებით.პროგრამის დამატებისა და განვითარების პროცესში, კოლეჯი ახდენს საჭირო რესურსებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის იდენტიფიცირებას /გადახედვას/შევსებას დარგის მოთხოვნათა და პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით ,,რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა“ განსაზღვრული მატერიალურ- ტექნიკური აღჭურვილობის ჩამონათვალზე დაყრდნობით. პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი ზღვრული და ჯგუფში განსაზღვრული რაოდენობის შესაბამისად კოლეჯში კონკრეტულად წარმოდგენილი საავტორიზაციო პროგრამისთვის მოწყობილია 1 სახელოსნო 15 პროფესიული სტუდენტისთვის, ხოლო თეორიული, კომპიუტერული და ინტეგრირებული მოდულების სწავლებისთვის კოლეჯს აქვს საერთო სააუდიტორიო ფართი, რომლის განაწილება ხდება სასწავლო პროცესის მენეჯმენტის მიერ სააუდიტორიო დატვირთვის მიხედვით.

პროგრამას თან ერთვის სავალდებულო მატერიალური რესურსების ჩამონათვალი. კოლეჯს აქვს კარგი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა: A, B და C ტიპის სასწავლო გარემო, რომელთა ფართობი შეესაბამება სტანდარტით განსაზღვრულ ნორმებს. A გარემოში არის თეორიული სწავლების აუდიტორია, B გარემოში განთავსებულია კომპიუტერები პროფესიული სტუდენტებისთვის და მასწავლებლებისთვის, დემონსტრირების ციფრული საშუალებები, საბეჭდი მოწყობილობები. C გარემო მოიცავს სპეციალიზირებულ ლაბორატორიებს და სახელოსნოებს. C გარემო აღჭურვილია მატერიალური რესურსით, რომელიც რელევანტურია პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. სასწავლო ლაბორატორია აკმაყოფილებს საგანმანათლებლო სტანდარტის მოთხოვნას ხელსაწყოთა ოდენობასთან დაკავშირებით.. სივრცეების ელექტრომომარაგება ხდება 220 ვ- 380ვ (3-ფაზა) ელექტრული ქსელით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ,,რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა“ განსაზღვრული მატერიალური და სასწავლო რესურსები არის რეალისტურად დაგეგმილი, სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი, შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან და სრულად უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

ექსპერტთა შეფასებით 2.2.1.1 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.**

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა “ განხორციელებაში ჩართულია 53 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის 23 ზოგადი მოდულების განმახორციელებელი, 11 ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებელი და 19 დარგის სპეციალისტი პროფესიული და საერთო პროფესიული მოდულების განმახორციელებლები. სტუდენტების ზღვრული რაოდენობა არის 75, მათ შორის 30 ინტეგრირებული სწავლებისთვის. პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობის შეფარდება სტუდენტების ზღვრულ რაოდენობასთან სრულად უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. პროგრამით გათვალისწინებულ პროფესიულ მოდულებს ჰყავს, რამდენიმე განმახორციელებელი მსგავსი კვალიფიკაციითა და სამუშაო გამოცდილებით, უკიდურეს შემთხვევაში მინიმუმ 2 პირი, რათა ერთ- ერთი მათგანის მიერ კანონით მინიჭებული უფლებებით სარგებლობისას, მაგ. შვებულება, საავადმყოფო ფურცელი, სამსახურიდან წასვლა და სხვ., საფრთხე არ შეექმნას პროგრამის უწყვეტად განხორციელებას. ყოველი ახალი პროფესიული სტუდენტების ნაკადის მიღების შემდეგ სასწავლო პროცესისა და პრაქტიკის მენეჯერი ახორციელებს პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვების განახლებას, ამასთანავე, მათი კვირეული საათობრივი დატვირთვის დაგეგმვისას მხედველობაში მიიღება არა მხოლოდ მათ მიერ ჩასატარებელი საკონტაქტო საათები, არამედ შეფასების ინსტრუმენტების შესაქმნელად, სხვადასხვა განმავითარებელ აქტივობებში, ვერიფიკაციის პროცესში და სხვა ღონისძიებებში მონაწილეობისთვის, სასწავლო მეთოდური მასალების დახვეწისა და განვითარებისთვის, პროფესიულ სტუდენტთა კონსულტირებისათვის საჭირო დრო, რათა სწავლების მაღალი ხარისხი მაქსიმალურად იყოს უზრუნველყოფილი. პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა“ განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა, კვალიფიკაცია და დატვირთვა ოპტიმალურია, რეალისტურია და უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად და ხარისხიან განვითარებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

ექსპერტთა შეფასებით 2.2.1.2 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, **პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.**

3. ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის განვითარების სტრატეგიული გეგმის ერთ-ერთ სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს პროფესიული განათლების მასწავლებლების პროფესიული განვითარება და ახალი კვალიფიციური კადრების მოზიდვა. კოლეჯში პროფესიულ მასწავლებლებად მიიღებიან შესაბამისი კვალიფიკაციის/სამუშაო გამოცდილების მქონე პირები. კოოპერაციულ პროგრამებზე ძირითადად შერჩეულია პროფესიული განათლების მასწავლებლები, რომლებსაც შესაბამის კვალიფიკაციასთან ერთად, აქვთ სამუშაო გამოცდილებაც. აქედან გამომდინარე, პროგრამაში ჩართულ თითოეულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიული სტუდენტებისთვის სწავლების შესაბამისი კვალიფიკაცია და კომპეტენცია ან სამუშაო გამოცდილება, რასაც ადასტურებს მათ მიერ კოლეჯში წარმოდგენილი კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას თან ახლავს ინფორმაცია ადამიანური რესურსის შესახებ, სადაც მითითებულია თითოეული მოდულის განმახორციელებელი პირი და მისი კვალიფიკაცია ან სამუშაო გამოცდილება, რომლის მიხედვითაც არჩეულ იქნა ამ პოზიციაზე. პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებლები აქტიურად არიან ჩართულნი განვითარების ღონისძიებებში, გავლილი აქვთ ტრენინგები მაგ. სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ტრენინგებში სწავლა-სწავლებისა და შეფასების მიმართულებით, კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლების მიერ მოწყობილი, საერთაშორისო პარტნიორობით დაგეგმილი სწავლებები, როგორც პირისპირ ისე დისტანციურ ფორმატში. პროგრამის პრაქტიკული ნაწილის განხორციელების მიზნით, სს საქართველოს რკინიგზის მიერ შერჩეულმა ინსტრუქტორებმა და დარგობრივი პროფესიული მოდულების განმახორციელებელმა პროფესიული განათლების მასწავლებლებმა წარმატებით გაიარეს აშშ-ს აიოვას სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლების მიერ ორგანიზებული ორეტაპიანი ტრენინგი შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით დასახელებოთ: ,,occupational safety and health“. ასევე, ზემო ბავარიის სავაჭრო-სამრეწველო პალატის, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატისა და ,,Deutsche Bahn International“ GmbH, Germany-ს ორგანიზებით განხორციელდა პრაქტიკის ინსტრუქტორების გადამზადება, როგორც კოოპერაციული სწავლების მეთოდოლოგიის ასევე ეფექტური კომუნიკაციის მიმართულებით. დამატებით, სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ორგანიზებით კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლებს ჩაუტარდათ ტრენინგი თემით: ,,მეწარმეობა პროფესიულ განათლებაში“. საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატისა და შტუტგარტის ექსპორტ აკადემიას შორის არსებული პროექტის ფარგლებში ჩატარდა სპეციალური ტრენინგი თემით: სწავლების პროცესის დაგეგმვა და განხორციელება საწარმოში. ზემოაღნიშნული ტრენინგების საფუძველზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

სულ გადამზადდა უშუალოდ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა“ 24 პროფესიული განათლების მასწავლებელი და პრაქტიკის ინსტრუქტორი.

მასწავლებელთა პირად საქმეებში წარმოდგენილია: განათლების დამადასტურებელი დიპლომები და სერთიფიკატები, ასევე პროფესიული პრაქტიკის დამადასტურებელი დოკუმენტები. ზოგადი მოდულების განმახორციელებელ პირებს ასევე აქვთ პროგრამით გათვალისწინებული მოდულის სწავლის შედეგების მიღწევისა და შეფასების კომპეტენცია, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით.

პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაცია, კომპეტენციები, პრაქტიკული გამოცდილება, სამუშაო დატვირთვის ოპტიმალური განაწილება მოწმობს, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლები სრულად აკმაყოფილებენ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა“ განხორციელებისთვის აუცილებელ პროფესიულ მოთხოვნებს და უზრუნველყოფენ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ეფექტიან მიღწევას.

ექსპერტთა შეფასებით 2.2.1.3 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, **პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.**

4. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომლის შესაბამისობაც დასტურდება მისი კვალიფიკაციითა და სამუშაო გამოცდილებით. პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები გაწერილია კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 16 სექტემბრის №5 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ 32-ე მუხლითა და კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 9 მარტის №33 ბრძანებით „ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და სამუშაო აღწერილობის დამტკიცების შესახებ“. პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაოს ანაზღაურებას უზრუნველყოფს სს „საქართველოს რკინიგზა“ და კოლეჯი, განსხვავებული საათობრივი ანაზღაურების დადგენით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაო აღწერილობაში დეტალურადაა გაწერილი მის მიერ შესასრულებელი ფუნქცია-მოვალეობები.

პროგრამის ხელმძღვანელის მოვალეობები და პასუხისმგებელობები განსაზღვრულია შრომითი ხელშეკრულებით. პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები შესაბამისობაშია კოლეჯის მიერ დაწესებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან. პროგრამის ხელმძღვანელი იცნობს საკუთარ ფუნქციებსა და მოვალეობებს, ფლობს პროგრამის შესაბამის დარგობრივ კომპეტენციებს, აქვს დადასტურებული კვალიფიკაცია და პრაქტიკული პროფესიული გამოცდილება, აქტიურად მონაწილეობს პროგრამის შემუშავებასა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

განახლებაში, აგრეთვე მის განხორციელებაში, სტუდენტთა შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის პროცესში, რაც იძლევა საგანმანათლებლო პროცესის დროული განხორციელების გარანტიას.

ექსპერტთა შეფასებით 2.2.1.4 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, **საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.**

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია მატერიალური და ელექტრონული სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. ბიბლიოთეკა ჩართულია ელექტრონული ბიბლიოთეკის სისტემაში openbiblio, პროფესიულ სტუდენტს წვდომა აქვს ელექტრონულ კატალოგთან, აღჭურვილია კომპიუტერებით, ასლგადამღები აპარატით, პრინტერით, ასაკინძი საშუალებით რომლის საშუალებითაც ელექტრონული სახით არსებული მასალების ამობეჭდვაცაა შესაძლებელი.

ბიბლიოთეკაში არის ყველა ის სახელმძღვანელო, რომელიც მითითებულია მოდულებში. საბიბლიოთეკო რესურსის გამოყენება სტუდენტს შეუძლია მისთვის ხელსაყრელ დროს. წიგნები იძებნება კატალოგებით. ინტერნეტ სივრცეში განთავსებული რესურსები არის თავისუფალი წვდომის რეჟიმში. საგანმანათლებლო რესურსები ხელმისაწვდომია როგორც სტუდენტებისთვის, ასე პროფესიული მასწავლებლებისთვის. ბიბლიოთეკას აქვს სასწავლო პროცესის მხარდამჭერი ფუნქცია. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია მატერიალური და ელექტრონული სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

ექსპერტთა შეფასებით 2.2.1.5 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, **საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.**

6. კოლეჯში გაწერილია მარეგულირებელი წესები კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 16 სექტემბრის №5 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ 30-ე მუხლით, იმისათვის, რომ სსსმ პირებს წვდომა იქნას უზრუნველყოფილი პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, ასევე მოხდეს მათი ადაპტირება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად; ჯერჯერობით, ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში მსგავსი საჭიროება არ დამდგარა, თუმცა კოლეჯს აქვს მზაობა მოახდინოს სასწავლო რესურსების ადაპტირება, იქნება ეს დამხმარე ტექნიკის, პროგრამული უზრუნველყოფის, ბრაილის შრიფტის, დასურათებული სახელმძღვანელოების, მასალის შინაარსობრივი ან ვიზუალური ადაპტაციის გამოყენებით თუ სხვა სპეციფიკური მოთხოვნით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვიზიტისას ვიზუალური დათვალიერებით დადასტურდა სასწავლო გარემოების ადაპტირება მარტივი გადაადგილებისთვის. შენობას აქვს ფუნქციურად გამართული და უსაფრთხო ლიფტი. პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ დაწესებულება მზად არის საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს და შეუფერხებლად დაორგანიზოს შესაბამისი სერვისების მიკწოდება.

ექსპერტთა შეფასებით 2.2.1.6 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, **სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.**

7. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა უზრუნველყოფილია კოლეჯის ფინანსური რესურსით, ვინაიდან მისი განხორციელებისთვის კოლეჯი იღებს ვაუჩერულ დაფინანსებას, ამასთან კოლეჯის ოპერირების ფინანსური უზრუნველყოფის ნაწილში ჩართულია როგორც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ისე სს „საქართველოს რკინიგზა“ 50%-იანი წილობრივი მონაწილეობით, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, სს „საქართველოს რკინიგზის“, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯს შორის 2016 წლის 27 დეკემბერს გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად. პროგრამა ხორციელდება კოოპერაციული მიდგომით, შესაბამისად ამ ტიპის სწავლების ფორმატიდან გამომდინარე სწავლის შედეგების მიღწევისთვის საჭირო მატერიალურ რესურსებს თითოეული პროფესიული სტუდენტისთვის უზრუნველყოფს საწარმო.

2.2.1.7 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, **პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. დანართი 2. ფორმა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ;
2. მატერიალური რესურსების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
3. ხელშეკრულება №იუს/26-015 - სს „საქართველოს რკინიგზასა“ და ა(ა)იპ „სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯს“ შორის პროფესიული საგაწმანათლებლო პროგრამის - „რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა“
4. განხორციელების შესახებ, რომლის დარგობრივი მოდულებით გათვალისწინებული კრედიტების არაუმეტეს 50%-ის შესაბამისი სწავლის შედეგები მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში;
5. საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრის დოკუმენტი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

6. პირადი საქმეები;
7. გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები;
8. ფორმა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ;
9. კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 19 ნოემბრის №235 ბრძანება;
10. ბიბლიოთეკის და საგანმანათლებლო რესურსის ვიზუალური დათვალიერება;
11. ა(ა)იპ - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 16 სექტემბრის №5 ბრძანებით ცვლილება კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 22 სექტემბრის №157 ბრძანებით);
12. ბიუჯეტი;

ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების წესის" (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 25 მაისის №43 ბრძანებით,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ცვლილება კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 1 ოქტომბრის № 168 ბრძანებით) თანახმად საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება მოიცავს ისეთ პროცესებს, როგორიცაა:

ა) პროგრამების შინაარსობრივი ასპექტების შეფასება;

ბ) სწავლა-სწავლების პროცესის მიმდინარეობის ადეკვატურობის დადგენა;

გ) მოდულის განმახორციელებელი პირების საქმიანობის შეფასება;

დ) მატერიალურ-ტექნიკური რესურსის, მასალა-ნედლეულის საკმარისობის, ავთენტურობის შეფასება;

ე) ვერიფიკაცია.

პროგრამების შეფასების პროცესი ეფუძნება მრავალმხრივ კვლევას, რაც ხორციელდება ოთხი ძირითადი სამიზნე ჯგუფის - პროფესიული სტუდენტების, კურსდამთავრებულების, პროფესიული მასწავლებლების და დამსაქმებლების სისტემური გამოკითხვის გზით. შეფასების სისტემის ერთ-ერთ საკვანძო კომპონენტს წარმოადგენს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის რევიზია. ხარისხის მართვის მენეჯერი აფასებს სასწავლო და დამხმარე თვალსაჩინოებების ადეკვატურობას და მათ შესაბამისობას გამოყენებულ სწავლების მეთოდოლოგიასთან.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სტუდენტთა ცოდნის შეფასების ინსტრუმენტების ვალიდურობისა და საგამოცდო მასალის სრულყოფილების შემოწმებას. მონიტორინგის პროცესში დგინდება:

- რამდენად ფარავს შეფასების სისტემა პროგრამით გათვალისწინებულ ძირითად მასალას;
- იძლევა თუ არა გამოყენებული მეთოდები სწავლის შედეგების ობიექტური დადასტურების შესაძლებლობას;
- შეესაბამება თუ არა არსებული მრავალკომპონენტიანი სისტემა დადგენილ რეგულაციებს.

ასევე ფასდება სასწავლო პროცესის ინტერაქციულობის ხარისხი და მასწავლებელთა მიერ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა მხარდაჭერის ეფექტიანობა და მათი კომპეტენციებისა და კვალიფიკაციის თავსებადობის ანალიზი მოქმედ პროფესიულ სტანდარტებთან მიმართებაში.

ექსპერტთა შეფასებით 2.3.1.1 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, **პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. მექანიზმების თანახმად მიღებული მონაცემების დამუშავების საფუძველზე, ხარისხის მართვის მენეჯერი შეიმუშავებს არგუმენტირებულ რეკომენდაციებს, რომლებიც პროგრამული განვითარების მიზნით წარედგინება კოლეჯის დირექტორს. პარალელურად, მენეჯერი კურირებს მასწავლებლების პროფესიული ზრდის პროცესს, რაც მოიცავს ტრენინგებს, მასტერკლასებსა და აკადემიური კვალიფიკაციის ამაღლების სხვა ფორმებს.

საგანმანათლებლო პროგრამებში ან მოდულებში ცვლილებების შეტანა ხდება სისტემური ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით. ცვლილების საფუძველი შეიძლება გახდეს:

- ხარისხის შეფასების მოქმედი მექანიზმებით გამოვლენილი საჭიროებები;
- პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტსა თუ ჩარჩო დოკუმენტში შესული ცვლილებები;
- შრომის ბაზრის დინამიკური მოთხოვნები ან სხვა ობიექტური გარემოებები.

კოლეჯში არსებული მექანიზმი უზრუნველყოფს, რომ პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგები არ დარჩეს რეაგირების გარეშე და საჭიროების შემთხვევაში, დადგენილი წესით აისახოს პროგრამულ ცვლილებებში.

ექსპერტთა შეფასებით 2.3.1.2 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, **პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების წესი" (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 25 მაისის №43 ბრძანებით, ცვლილება კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 1 ოქტომბრის № 168 ბრძანებით).

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა სასწავლო გეგმა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა“ და ასევე სასწავლო გეგმა, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს. სასწავლო გეგმა არაინტეგრირებული სწავლების შემთხვევაში გაწერილია 17 თვეზე. ინტეგრირების შემთხვევაში კი 22 თვეზე. მათი შედგენისას გათვალისწინებულია მოდულების ლოგიკური

თანმიმდევრობა, სტუდენტთა კვირეული დატვირთვა, განმეორებითი შეფასების შესაძლებლობა. იმ შემთხვევაში, თუ პროგრამაზე ჩაირიცხება არაქართულენოვანი სტუდენტები, მათთვის გათვალისწინებულია ქართული ენის შემავსებელი მოდული. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა სასწავლო პროცესის განხორციელების ცხრილები. სასწავლო გეგმა იძლევა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად განხორციელების პროგნოზს.

ექსპერტთა შეფასებით 2.4.1.1 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, **პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.**

2. სასწავლო პროცესის ორგანიზება დარეგულირებულია ა(ა)იპ - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 16 სექტემბრის №5 ბრძანებით ცვლილება კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 22 სექტემბრის №157 ბრძანებით) მუხლი 30. სასწავლო პროცესის წარმართვა. ნაწილობრივ დისტანციური სწავლების განხორციელების შემთხვევაში სწავლების ორგანიზება და პასუხსიმგებლობები რეგულირდება ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის კომპონენტების დისტანციურად განხორციელების წესი და პირობებით (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 19 სექტემბრის №157 ბრძანებით).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

პროფესიულ სტუდენტთა სწავლება შესაძლებელია განხორციელდეს ორ ცვლაში ან შეჭრილი გრაფიკით. ცხრილების შედგენისა და ჯგუფების გადანაწილებისას ადმინისტრაციის მიერ ხდება სტუდენტთა ინტერესების და სამუშაო გრაფიკის გათვალისიწნება. პროფესიული სტუდენტებისათვის, რომლებიც დასაქმებულნი არიან სს „საქართველოს რკინიგზაში", უშუალოდ სს „საქართველოს რკინიგზისაგან" მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, მათი სამუშაო გრაფიკის გათვალისწინების მიზნით, კოლეჯი შეიმუშავებს ინდივიდუალურ ჯგუფურ სასწავლო ცხრილს საკონტაქტო საათების 3 დღეზე, მათ შორის 2 სამუშაო დღესა და შაბათზე გადანაწილებით. ეს პრაქტიკა ხელს უწყობს სტუდენტების წარმატებულ ჩართულობას და უზრუნველყოფს სწავლის პროცესის ხელშეწყობას ყოველგვარი დამატებითი ბიუროკრატიული სირთულეების გარეშე. აღნიშნული მექანიზმები შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან და სტუდენტთა წარმატებაზე ორიენტირებულ მიდგომად შეიძლება ჩაითვალოს.

ექსპერტთა შეფასებით 2.4.1.2 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, **პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.**

3. კოლეჯი უზრუნველყოფს, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის და ბლოკირების ელექტრომექანიკა" სწავლების პროცესში ინტეგრირებული იყოს სწავლების თანამედროვე, სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომები და დარგისთვის შესაბამისი ტექნოლოგიები. კოლეჯში არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ქმნის შესაძლებლობას, რომ სწავლება განხორციელდეს რეალურ სამუშაო პირობებთან მაქსიმალურად მიახლოებულ გარემოში, რაც ხელს უწყობს პროფესიული კომპეტენციების პრაქტიკულ განვითარებას.

პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ პროგრამის ფარგლებში აქტიურად გამოიყენება სწავლების ისეთი მეთოდები, როგორიცაა პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, ქეის-სტადიები, სიტუაციური ანალიზი, პროფესიული როლების იმიტაცია, დემონსტრაციებისა და პრაქტიკული დავალებების კომბინაცია.

ექსპერტთა შეფასებით, ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა" განხორციელება ეფუძნება სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგისთვის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. აღნიშნული პრაქტიკა სრულ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების მიერ საჭირო კომპეტენციების ეფექტიან და პრაქტიკულად ორიენტირებულ განვითარებას.

ექსპერტთა შეფასებით 2.4.1.3 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, **სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

4. ა(ა)იპ - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 16 სექტემბრის №5 ბრძანებით ცვლილება კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 22 სექტემბრის №157 ბრძანებით) გაწერილია მექანიზმები ინდივიდუალური სასწავლო გეგმის და ინდივიდუალური სასწავლო ცხრილის შედგენის პროცედურების შესახებ. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა დგება მაშინ როდესაც:

ა) სსსმ პირი, სწავლობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, მაგრამ ვერ აღწევს სწავლის შედეგებს;

ბ) მობილობით გადმოსული პირი, რომლის სწავლის შედეგები განსხვავებული აქვს კოლეჯის შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებთან;

გ) პირი, რომელსაც პროფესიული სტუდენტის სტატუსი შეჩერებული ჰქონდა ერთ თვეზე მეტხანს ან/და დაუგროვდა საპატიო გაცდენების დიდი ოდენობა და საჭიროებს სასწავლო პროცესში ჩართვას;

დ) ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სარგებლობის საჭიროების სხვა დადასტურების შემთხვევები.

დაწესებულების მიერ თითოეული შემთხვევისთვის მკაფიოდ გაწერილია ორგანიზების პროცედურები, ვადები და პასუხისმგებელი პირები. წესის თანახმად პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში, ხოლო არასრულწლოვანი/მხარდაჭერის მიმღები პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში, შესაძლოა ჩართულ იქნას მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი.

შესაბამისად ექსპერტთა შეფასებით 2.4.1.4 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, **პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.**

5. დაწესებულებას პრაქტიკული სწავლის შედეგების განხორციელებისათვის 2026 წლის 26 თებერვალს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება №იუს/26-015 სს საქართველოს რკინიგზასთან. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სს „საქართველოს რკინიგზასა“ და ა(ა)იპ „სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯს“ შორის პროფესიული საგამანათლებლო პროგრამის - „რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა“ განხორციელება, რომლის დარგობრივი მოდულებით გათვალისწინებული კრედიტების არაუმეტეს 50%-ის შესაბამისი სწავლის შედეგები მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში. ხელშეკრულება მოქმედია ოქმედებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციის ვადის ამოწურვამდე.

ექსპერტთა შეფასებით 2.4.1.5 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, **პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

6. სასწავლო პროცესი ხორციელდება უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. პროგრამით განსაზღვრული მოდულების სწავლებისთვის გამოიყენება დაწესებულების აუდიტორიები, სადაც უზრუნველყოფილია უსაფრთხო სასწავლო გარემო. დაწესებულებას შემუშავებული აქვს ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის უსაფრთხოების სპეციფიკური ნორმები (დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 15 აპრილის №30 ბრძანებით).

პროგრამა არ საჭიროებს დამატებით უსაფრთხოების მოთხოვნებს. რაც შეეხება პროგრამით გათვალისწინებული მოდულების პრაქტიკულ კომპონენტების სწავლებას, რომელიც ხორციელდება დაწესებულების პარტნიორი ორგანიზაციის ბაზაზე, ხელშეკრულებაში გაწერილია პირობა, რის თანახმადაც ორგანიზაცია ვალდებულია უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული სწავლის შედეგების მიღწევისთვის უსაფრთხო გარემო.

შესაბამისად ექსპერტთა შეფასებით 2.4.1.6 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, **სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. სასწავლო გეგმები;
2. სასწავლო ცხრილები;
3. ა(ა)იპ - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 16 სექტემბრის №5 ბრძანებით ცვლილება კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 22 სექტემბრის №157 ბრძანებით)
4. ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის კომპონენტების დისტანციურად განხორციელების წესი და პირობებით (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 19 სექტემბრის №157 ბრძანებით);
5. ხელშეკრულება №იუს/26-015 - სს „საქართველოს რკინიგზასა“ და ა(ა)იპ „სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯს“ შორის პროფესიული საგაწმანათლებლო პროგრამის - „რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა“
6. განხორციელების შესახებ, რომლის დარგობრივი მოდულებით გათვალისწინებული კრედიტების არაუმეტეს 50%-ის შესაბამისი სწავლის შედეგები მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში;
7. ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის უსაფრთხოების სპეციფიკური ნორმები (დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 15 აპრილის №30 ბრძანებით);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

8. ინტერვიუს შედეგები.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში პროფესიული სტუდენტის შეფასებისა და კვალიფიკაციის მინიჭების წესში (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 1 თებერვლის № 30 ბრძანებით, ცვლილება კოლეჯის დირექტორის 202 5 წლის 01 ოქტომბრის № 169 ბრძანებით) მკაფიოდ არის განსაზღვრული სტუდენტის შეფასების მექანიზმები. შეფასება ეფუძნება წინასწარ შემუშავებულ და ვალიდირებულ ინსტრუმენტებს, რომლებიც უზრუნველყოფენ შეფასების მიზნის შესაბამისობას სწავლის შედეგებთან. სანდოობის უზრუნველსაყოფად გამოიყენება მკაფიოდ განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმები, რაც განაპირობებს იდენტურ შედეგებს შემფასებლისა თუ შეფასების დროის ცვლილების მიუხედავად. ხორციელდება შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაცია, რომლის დროსაც სპეციალური ჯგუფი ამოწმებს, რამდენად ვალიდური და ობიექტური იყო სტუდენტთა შეფასების პროცესი. შეფასების კრიტერიუმები წინასწარ არის ცნობილი სტუდენტებისათვის, რაც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობას. სტუდენტს აქვს უფლება, არასამართლიანი შეფასების შემთხვევაში მიმართოს სააპელაციო მექანიზმს და მოითხოვოს შედეგების გადასინჯვა სპეციალური კომისიის მიერ. შეფასების პროცესი ეყრდნობა მხოლოდ მატერიალურ ან ციფრულ მტკიცებულებებს, რომლებიც ადასტურებენ სწავლის შედეგის მიღწევას. თითოეული სტუდენტის შეფასების შედეგები და მტკიცებულებები ინახება ინდივიდუალურ პორტფოლიოში, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის მიკვლევადობასა და ობიექტურობას.

შესაბამისად ექსპერტთა შეფასებით 2.4.2.1 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, **პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.**

2. პროფესიული სტუდენტის შეფასებისა და კვალიფიკაციის მინიჭების წესის თანახმად დაწესებულებაში მოქმედი პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მყარ მექანიზმს, რომელიც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის შესაბამისობას დადგენილ სტანდარტებთან. ვერიფიკაციის პროცესი ხორციელდება სპეციალური ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ, რომელსაც ხელმძღვანელობს ხარისხის მართვის მენეჯერი. სისტემის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ობიექტურობის დასაცავად, ვერიფიკაციის ჯგუფის წევრი არ შეიძლება იყოს პირი, რომელიც მონაწილეობდა შესაბამისი შეფასების ინსტრუმენტის შექმნისა თუ შეთანხმების პროცესში. ვერიფიკაცია ხორციელდება წინასწარ შემუშავებული რისკების სისტემისა და რისკ-ფაქტორების კოეფიციენტების გათვალისწინებით. პროცედურის დასრულების შემდეგ დგება დასკვნა, სადაც ფასდება შეფასების სისტემის ვალიდურობა, სანდოობა, გამჭვირვალობა, სამართლიანობა და ობიექტურობა. დადებითად ვერიფიცირებულ ინსტრუმენტებზე კეთდება შესაბამისი აღნიშვნა - „ვერიფიცირებულია“. ხარვეზების იდენტიფიცირების შემთხვევაში, იქმნება რეკომენდაციების შესრულების სამოქმედო გეგმა, რომლის მონიტორინგსაც ახორციელებს ხარისხის მართვის მენეჯერი.

ამგვარად, ვერიფიკაციის მექანიზმი წარმოადგენს ხარისხის უზრუნველყოფის ქმედით ინსტრუმენტს, რომელიც უზრუნველყოფს შეფასების სისტემის სანდოობასა და ობიექტურობას.

შესაბამისად ექსპერტთა შეფასებით 2.4.2.2 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.**

3. პროფესიული სტუდენტის შეფასებისა და კვალიფიკაციის მინიჭების წესის მუხლი 7, პუნქტი 5-ის თანახმად შეფასების მტკიცებულებები ინახება პროფესიული სტუდენტის კვალიფიკაციის მინიჭებამდე, სასწავლო პროცესისა და პრაქტიკის მენეჯერთან პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალურ პორტფოლიოში. კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ გადაეცემა არქივს და ინახება არანაკლებ 3 წლის ვადით, ხოლო შეფასების უწყისები უვადოდ.

შესაბამისად ექსპერტთა შეფასებით 2.4.2.3 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, **პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.**

4. კოლეჯში პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები აქტიურად გამოიყენება როგორც ინდივიდუალური სტუდენტის მხარდაჭერისა და განვითარებისთვის, ისე სასწავლო პროგრამების ხარისხის გასაუმჯობესებლად. სისტემა ითვალისწინებს სტუდენტებისთვის უკუკავშირის მიწოდებას, მათთვის ინდივიდუალური რეკომენდაციების შემუშავებას და მიღებული შედეგების ანალიზს სწავლების პროცესის სრულყოფის მიზნით.

კოლეჯი აგროვებს სტატისტიკურ მონაცემებს სწავლის შედეგების დადასტურების შესახებ და მათ იყენებს პროგრამის შემდგომი განვითარებისა და სწავლების ხარისხის მონიტორინგისათვის. შუალედური შეფასების შედეგების შეჯამების შემდეგ, სტუდენტს ეცნობება მისი მიღწევებისა და ნაკლოვანებების შესახებ. პროგრამის ხელმძღვანელი თითოეული სტუდენტისათვის შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომლებიც თავსდება სტუდენტის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

პორტფოლიოში და მას სავალდებულოა გაეცნოს საწარმოს ინსტრუქტორი. სასწავლო პროცესში გამოიყენება განმავითარებელი შეფასება, რომელიც მიმართულია სტუდენტის განვითარების დინამიკაზე, სწავლის ხარისხის გაუმჯობესებასა და სტუდენტის მხარდაჭერაზე.

შესაბამისად ექსპერტთა შეფასებით 2.4.2.3 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში პროფესიული სტუდენტის შეფასებისა და კვალიფიკაციის მინიჭების წესი (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 1 თებერვლის № 30 ბრძანებით, ცვლილება კოლეჯის დირექტორის 202 5 წლის 01 ოქტომბრის № 169 ბრძანებით);
2. ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის წესი (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 16 სექტემბრის №5 ბრძანებით ცვლილება - 202 4 წლის 26 აპრილის №56 ბრძანებით);
3. ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია
დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

28.04.2026
.....
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---